

მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების საფუძვლები/კრიტერიუმები, როგორც
სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტია - გამოწვევა ქართული
მართლმსაჯულებისთვის

მარიამ პირველი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

თემის ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ პირველი, 2022 წლის 2 ივლისი

აბსტრაქტი

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების პროცესში, მთავარი როლი კეთილსინდისიერ და კვალიფიციურ პირებს აქვთ, ანუ მოსამართლეებს, რომლებიც სახელმწიფოს სახელით ადამიანის ბედს წყვეტენ. იმისათვის, რომ სამოსამართლო მანტია მხოლოდ ღირსეულ მოსამართლეებს მოერგოთ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არაერთი რეფორმა ჩატარდა, რომელთა სრულყოფილი ანალიზიც წინამდებარე ნაშრომის ფორმატს სცდება ამიტომ, ნაშრომი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე განხორციელებულ რეფორმებზე კონცენტრირდება, რომლებმაც თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით პარალელი ისეთ მძლავრ მოვლენასთან ჰპოვეს როგორც - „ტალღა“. თუმცა, რეფორმის შინაარსი და ფარგლები იმდენად წინააღმდეგობრივი და, ხშირად, ბუნდოვანი გამოდგა, რომ როგორც მოსამართლეთა კორპუსს, ასევე სასამართლოს მომხმარებლებსა და გულშემატკივრებს, არაერთგზის გაუჩნდათ ლეგიტიმური კითხვა მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების კონსტიტუციურ სტანდარტთან მიმართებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ იმ ძირითადი ხარვეზების გამოკვლევაა, რომლებიც თითოეული ტალღის ფონზე თავს დაატყდა ქართულ მართლმსაჯულებას. თავისი არსით, საკითხი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე რომაა, ამაზე საზოგადოების, პრაქტიკულად, არცერთი ნაწილი არ დავობს, რამდენადაც სამართლიანი სასამართლოს უფლების არარსებობის პირობებში, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სულისკვეთებას მნიშვნელოვნად აზიანებს.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე კვალიფიციური და კეთილსინდისიერი პირების განწესების სურვილით, ავტორის მიზანი იმ ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებაა, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნის კონსტიტუციური სტანდარტის გამჭვირვალობას საფრთხეს უქმნის.

შედეგად კი, საძირკველშივე მყიფეს ხდის სამართლიანი სასამართლოს უფლების იდეას, ურომლისოდაც სახელმწიფოს დემოკრატიული მომავალი არ აქვს. ნაშრომმა უნდა გამოკვეთოს, როგორ შეიძლება ამგვარი მძიმე რეალობისაგან თავის დაღწევა, სად არის დაშვებული არსებითი შეცდომები და როგორია მათი გამოსწორებისკენ სავალი გზა.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიღწევა სწორედ იმაში გამოვლინდება, თუ იგი შეითვისებს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციას იმის იდენტიფიცირებისათვის, თუ სად და რატომ არის დაშვებული არსებითი ხარვეზები სასამართლო რეფორმის პროცესში, რა ნეგატიურ შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს სახელმწიფო მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ბუნდოვანმა და მერყევმა კონსტიტუციურმა სტანდარტებმა. ამ უკანასკნელის სრული სიცხადით წარმოჩენა იქნება ნაშრომის მთავარი მიგნება და დემონსტრირება, რომ მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებით არსებული კითხვის ნიშნები სახელმწიფოს დემოკრატიული გზით განვითარების ატროფირებას იწვევს. აღნიშნულ პროცესში კი უმთავრესი საყრდენის ფუნქციას, ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრაქტიკა, ექსპერტთა მოსაზრებები, მკვლევართა მიგნებები და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად, ავტორისეული მოსაზრებები შეასრულებს.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოსამართლეთა განწესება, სასამართლო რეფორმა, ტალღა. ქართული მართლმსაჯულება.

Abstract

Conscientious and qualified individuals and judges who decide a person's fate on behalf of the state play a critical role in the process of realizing the right to a fair trial. Throughout Georgia's independent history, a number of reforms have been implemented to ensure that the judicial mantle is only assumed by worthy judges. However, a thorough examination of such reforms is beyond the scope of this paper. As a result, the work focuses on the reforms implemented over the last decade, which had parallels in their original meaning with such a powerful event as the "waves of judicial reform."

The goal of this paper is to look into the major flaws that have plagued the Georgian judiciary in the aftermath of each wave. Protection of fundamental human rights in the absence of a fair trial is highly contentious and undermines the spirit of democracy and the rule of law significantly.

The author's goal is to identify institutional and legislative gaps that threaten the transparency of constitutional standards for judicial appointment, which makes the concept of fair courts fragile from the start, and without this concept, no state can have a democratic future. The paper outlines how to deal with such a harsh reality where significant mistakes are made, as well as how to correct them.

The paper's main accomplishment can be considered if it identifies the negative outcomes that the state may face as a result of vague constitutional standards for the appointment of judges. The main goal is to demonstrate that any ambiguity in the judicial system can be a significant impediment to the state's democratic development. Local and international practice, expert opinions, research findings, and the author's opinions developed as a result of summarizing the above components will serve as the primary support functions in this process.

Keywords: right to a fair trial, appointment of judges, judicial reforms, reforms waves, Georgian system of justice

მადლობა

მადლიერებას გამოვხატავ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის თითოეული ლექტორისა და აკადემიური პერსონალის მიმართ, რადგან მომეცა შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემაზე მემუშავა, რაც შეუძლებელი იქნებოდა განვლილი ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა საგნის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გარეშე.

ასევე, მადლობას ვუხდით რესპოდენტებს, რომლებმაც არ დაიშურეს დრო და მოსაზრებები განსახილველი თემის სიღრმისეული ანალიზისა და სრულყოფისთვის. მკითხველს, რომელიც დაინტერესდა ან/და მომავალში დაინტერესდება წინამდებარე ნაშრომით.

განსაკუთრებულ მადლობას კი ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ერემამეს, რომელმაც გარდა იმისა, რომ გამიზიარა ფასდაუდებელი ცოდნა და ყოველმხრივ დაუჭირა მხარი ჩემს კვლევას, მანდო ყველაზე მნიშვნელოვანი, წერისა და ფიქრის თავისუფლება. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი და ამავდროულად, უდიდესი პასუხისმგებლობაა.